პროგრამის სახელწოდება

ხე-ტყის დამზადება (Wood Processing)

პროგრამის სახე: მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: ასაკი-18 წელი საშუალო განათლება

აპლიკანთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები : პროფესიული მომზადების პროგრამის „ხე-ტყის დამზადება“ მიზანია კვალიფიციური

სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ტყეში ხე-ტყის დამზადების

სამუშაოების ორგანიზებას შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით, სამუშაო

იარაღებისა და აღჭურვილობის მოვლას და გამოყენებას, ხის ჭრის პროცესის

მომზადებას, ხის უსაფრთხოდ მოჭრას და მოჭრილი ხის გაწმენდას, დამზადებული ხე-

ტყის დახარისხებას და ჭრის ნარჩენების განთავსებას, დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვას

და სატრანსპორტო საშუალებებზე დატვირთას

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამა „ხე-ტყის დამზადება“ შემუშავებულია შრომის ბაზრისა და ეროვნულ დონეზე სექტორთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.პროგრამა განკუთვნილია ყველა დაინტერესებული პირისთვის სრული ზოგადი განათლებით, რომელსაც სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს ის ცოდნა და უნარი,რაც საჭიროა ტყეში უსაფრთხოდ ხის მოჭრისთვის, მოჭრილი ხის დამუშავებისა და ტყიდან გამოზიდვისთვის. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 კვირას, კვირაში საშუალოდ 25 საათის ოდენობით, ჯამში პროგრამის მოცულობა 230 საათია. პროფესიული მომზადების პროგრამა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით. კერძოდ, სწავლის

შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში -აჭარის სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებული ტყის ტერიტორიაზე.პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება სწავლების სხვადასხვა მეთოდებით. მსმენელის შეფასებისთვის კი, გამოყენებული იქნება განმავითარებელი და განმსაზღვრელიშეფასება.პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები და შეეძლებათ დასაქმება ტყის მართვის ორგანოებში, ხე-ტყის დამზადების და სხვა დარგობრივი მიმართულების კომპანიებში.პროგრამის დიზაინი და შინაარსი საშუალებას აძლევს სხვადასხვა ასაკის, ინტერესის,სქესის/გენდერის, ღირებულების მქონე მსმენელს, ჩაერთოს თანასწორ, სამართლიან და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესში.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უსაფრთხოების წესების დაცვით სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება
2. და მანქანა-იარაღების, სპეც ტექნიკის გამოყენება;
3. სამუშაოს ორგანიზება ხე-ტყის დამზადებისას;
4. დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა და სატრანსპორტო საშუალებებზე დატვირთვა.
5. ხის ჭრის პროცესის მომზადება;
6. ხის მოჭრა და მოჭრილი ხის გაწმენდა;
7. დამზადებული ხე-ტყის დახარისხება და ჭრის ნარჩენების განთავსება

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია: ,,აჭარის სატყეო სააგენტო''

დასაქმების სფერო: მეტყევეობა (ვიწრო სფერო)